

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმების გარდა, დღის 9-3-მდე. ხელმოწერული წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მტკიცე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფელისათვის: თბილისი, რედაქცია „საქართველო“, პოჩ. ყაჩიქ № 76

განცხადებითი ფასი  
 მთლიანად: 15 კაპ. კვირის განმავლობაში: 10 კაპ. კვირის განმავლობაში: 40 კაპ. 4-ზე მეტი: 20 კაპ. ტექსტი—60 კაპ. სამკვლევარო განცხადება თითოეული საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიღება მხოლოდ) განცხადების შესახებ, ა. კალანდარის სტამბაში ელირება 4 მ. დამატებითი № ღირს ყველაფერი 7 კაპ.

საქართველო  
 წელიწადი მეორე.  
 უპირატესად ღირს: ყოველ-კვირულ სურათებთან დამატებით ერთი წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

პრემიები: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მისამდე—5 მ. გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.

სამკვლევარო განცხადება ჩვეულებრივად ღირს 3 მან. ნაშუადღევს 4 საათის შემდეგ 4—მან.

გაზეთის კანტორა ღიაა დღით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

ფოსტის მისამართი: თბილისი, მოსკოვსკაია ულ. № 4, დომე გაბაევა.

Почтовый ящик № 76.

რედაქტორ-გამომცემელი სანდრო შანშიაშვილი.

## მოდური მაღაზია

### მ. გასარულისა

სასახლის ქუჩაზე

იბოვება ყოველგვარი საუკეთესო რჩეული საქონელი მხოლოდ ევროპიული

(—83—9)

ქაიხი მ. გ. ვეფხვაძე  
 ტომისკის უნივერსიტეტის ვენეროლოგიური კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიული სნეულებით ყოველდღე 3—5 საათამდე, ვარანკოვის ძეგლის პირდაპირ, რაზზედის ქუჩა, № 19.

ქაიხი დ. მ. ვეფხვაძე  
 იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—8 საათ. მისამართი: კუთხე კიროსნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი  
 პროფ. ი. ი. ბერიძის ახლადგაიხსნა

26 აპრილს, შუადღის 12 საათზე გარდაცვალების ორმოცის დღის თავზე სოფ. ქოდალოში (სიღნაღის მაზრა) საგარეულო აკლდამაში გადახდილ იქნება პანაშვილი „პარტუგალი“-ზე უღვრავოდ დაღუპულ

პნ. ანან სოლომონის ასულის ანდრონიკაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ კენიხა ნადეჟდა დიმიტრის ასული ანდრონიკაშვილისა შვილებითურთ.

(1—158—1)

ახალ კლუბის დარბაზი  
 კვირას, 24 აპრილს დავით კახიას მიერ წაიკითხულ იქნება ლექცია „სახალხო რეპუბლიკა და მათი სისუფარი უანაზი“.

ლექციის შემდეგ გაიმართება კამათი. ფასები 1 მან., 50 კაპ., და 20 კაპ. დასაწყისი ნაშუადღევს 12 1/2 საათზე.

უფლის საწყობი  
 ნიკოლოზ იოს. ჭრეაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირებულების შეშა

შვედური ხელისაწერის ფასები

საკუთარი ტყიანად

საწყობს აქვს გადამზიდავი ურბები და კისრულობა შინ მიტანასაც

(103—წ.) ტელეფონი 5—96.

ქ. გაბაშვილი  
 ღვინის ვაჭრობა  
 „მელანდი“

თ. ი. ხ. ანდრონიკაშვილი და ახვ.

იზოვება საუკეთესო კახური ღვინეები

(112—წ.)

საუკეთესო კახური ღვინის საწყობი

ადამ ზურაბის ძის ბერეაშვილისა

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.

(102—წ.)

საგაზაფხულო გავაზი  
 პრ. ივ. ჭავჭავაძისა და ი. ი. გველსიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშვიის ქარვასლაში.

იზოვება ყოველგვარი საგაზაფხულო საუკეთესო საქონელი: ჩაუქუდილობა, ქოდაგები და სხვა ახალ მოდის საქონელი

(101—წ.)

გამართულია ხელის მოწერა

პიკნა-ფეხაშვილის

პიკნების და ლექსების კრებულზე, რომელსაც დაერთვის ბიოგრაფია-წინასიტყვაობა და ლ. კახიას კრიტიკული წერილით.

წიგნი ელირება 20 მან.

ვაგზლის სამკურნალო  
 (შინიხვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)

სამკურნალო ყველა ქვიშაყვამ კვლავ განახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დღის 11—2 საათამდე.

აგრეთვე ექიმი—ქალი მარ. კონ. იოსელიანისა მიიღებს დედათა სნეულებით ავადმყოფთ დღის 10—11 საათამდე.

(თ.—126—21)

ლოკატორი მდივანისა მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კალდთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოფისი ქუჩა, № 3, სახლი მედიკ-პროფ. იოსელიანისა.

ტელეფონი, 17—21.

მ. დ. წინაგაგორიშვილი

ქ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულსის, ფილტვებისა და სხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

საუკეთესო კახური ღვინის საწყობი

გიორგი ილიას ძის რუხინაშვილისა

მისამართი: ავლაბარი, პეტრე პავლეს-ქუჩა კახეთის მოედანი.

(თ.—81—5)

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ყოველკვირეული შურნალი

„სკოლა და ოჯახი“

სამი აპრილიდან გამოვა ქუთაისში შემდეგის პროგრამით: პედაგოგია, ოჯახური აღზრდა, პიკნა, ვახუშტის სკოლის გარეშე, ჩვენი სკოლა, უცხოეთის სკოლა, სახალხო მასწავლებელთა შორის, პროზა და პოეზია, ჩვენი მხარე, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, კითხვა-პასუხი, მოღვაწეთა სურათები და განცხადებანი. უფროსი თანამშრომლობა ალგეიფეის ჩვენს ცნობილმა პედაგოგებმა და ლიტერატორებმა. უფროსი ელირება ამა წლის დამლევაში ოთხი მანეთი, ცალკე ნომერი ორი შურთი. ფული და წერილები გამოიგზავნება შემდეგი მისამართით: ქუთაისი, ხაზინის წინ, ქალაქის შესასვლელს (უფროსისათვის). აქვე შეიძლება რედაქტორის ნახვა ყოველ დღე გარდა კვირა-უქმებისა პირველ საათამდე. უმარკო წერილებს ვერ მივიღებთ.

რედაქტორ-გამომცემელი ვლ. ნაცვლიშვილი.

ოქმის ამბები

ოქმის დავაობა

შუალღეს მთავარსაბჭოს შობისა.

პეტროპოლისი. 19 აპრ. ოფიციალ. სახლგარეშე მთავარ შტაბიდან. შავ ზღვაზე ჩვენმა ფლოტმა შეაჩინა და ამოიღო გერმანელთა ნაღები. ამით მსურდა მტერს მიელოცა მართლ-მადიდებლებისთვის „ქრისტე აღდგა“.

ოფიციალ. მტრის ზოგიერთი ორგანოებში მოთავსებული იყო ცნობა, თითქოს ნიკოლაევსკში დასწევს ყაზარმა. ეს ცნობა ტყუილი გამოდგა.

პარიზი, 19 აპრილი. დომპერის მიდამოებში მტერი შეგჩერეთ. ნაგარენის ჩრდილოეთით ვესროლეთ მტრის სასურსათო ურბებს. ლავარუნის ჩრდილოეთით, არგონებში მტრის მხედრობა რაზმი გაფანტეთ. ავოკრიდან მორტარებმა დასაბეჭდეს მტრისა და მისი მხარეების ზარბაზნები მოქმედობს. ბოლო მიღებული ცნობებიდან სინას, 16 და 17 აპრილის ბრძოლის შემდეგ, დავიკრეთ თბილისში 1.000 ადამამდე და 300-დან 600-მდე მტერი სიღრმით. მასის აღმოსავლეთით, დუომონის სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეზე, ჩვენმა ჯარმა მკაცრად შეუტია მტრის სიმარგებს. ჩვენ აქ მტრის პირველი ხაზის თხრილები, სიღრმით 500 ადგილი ჩავივდით ხელზე ტყვეთ აქ 100 კაცი წამოვიყვანეთ. ვერვინი ზარბაზნებით ბრძოლაში სხიფათო სახე მიიღო.

პარიზი, 19 აპრილი. ბელგეთში ჩვენმა ზარბაზნებმა სტერტიროვტან და ბუსინგთან გერმანიის თხრილები

მიანგრია. არგონებში ნაღობით ბრძოლა. ფილტვით ერთი თხრილი ვივადეთ ხელთ. ვერდენის მიდამოებში მტრმა მასის მარცხენა მხარის ადგილებს ზარბაზნები დაუშინა. მდინარის მარცხენა მხარეზე საარტილერიო ბრძოლა პუაგერ-დომონის ხაზით სწარმოებდა. სხვა ადგილებში ჩვეულებრივ სროლა. ჩვენ სულ 31 პაეროლანი ჩამოვადეთ. ჩვენი 6 პაეროლანი ჩამოვადეთ. ჩვენი 6 პაეროლანი მტრის ადგილებში ჩამოვადეთ.

საბერძენეთის ასპარეზზე 2—17 აპრილამდე ჩვეულებრივი შეხლა. შამინდობის გამო ამ ადგილებში საარტილერიო ბრძოლა მიუყუდა. მოქმედებენ მხოლოდ მფრინავები ჩვენმა მფრინავმა სოფიაში ყუმბარა ჩამოავლო.

პარიზი, 18 აპრილი. ლაროშელის ქვიშაყვამ ქარხანაში ცეცხლი განდგა. შინაგან დანგრევა აფეთქებით, ნანგრევებიდან ამოიღეს 20 მოკულები. არიან სტუბუკად დაქრლები.

ლონდონი, 18 აპრილი. სანხშირო გემი „ვანდალი“ დაბრუნდა ტიანიში, დაზიანებული გერმანელთა წყალქვეშის მიერ, მას ნახევარი საათი ბრძოლა ჰქონდა წყალქვეშასთან.

საქართველო-გაზეთიდან

რუსეთის ასპარეზი.

პეტროგრადიდან მოსული ცნობებით, ოსმალები გმირული სიმკაცრით იცავენ ბრძოლის ასპარეზს ანგარა-სტამბოლის ხაზით ერძინჯანის მიმართებით. ამ ადგილებში ოსმალებმა 8 დღეობა შეუტყუფათ. ოსმალებს განზრახული აქვთ ერძინჯანის და ბაიბურთის ჯარი შეერთონ, მაგრამ რუსის ჯარი კონტრ-იერიშებით ხელს არ უშლის. რუსის ჯარი დასავლეთით არ იწევს, რადგან ახლად აღებულ ადგილებს ამარტებს.

გერმანი.

„Berliner Tageblatt“ აღწერს ვერდენთან აგებულ სიმაგრებს, რომლებიც გადაღულია გერმანელ მფრინავებს და დასძენს: ფრანგებმა თუ შეინარაჟნეს ვერდენის სიმაგრეები, მხოლოდ იმისი წყალობით, რომ მიწის ქვეშ სიმაგრეები გააძლიერეს. მიწის ქვეშ თხრილები დღით-ღამე მრავლდება. მავთულის ხლართები ბადეს წარმოადგენს, ფრანგებს ჯერ ისეთი სიმკაცრე არ გამოუჩინათ, როგორც ვერდენთან.

ამერიკა და გერმანეთი.

ამსტერდამიდან იტყობინებანი: ვილჰელმი სცილოლბს ამერიკასთან გამეწყვეტილი საკითხი ჩანაწერს, მაგრამ სამხედრო პარტია მხარს არ უჭერს.

გერმანიეთი უკან იხევს.

„National Tidende“-ს ლონდონიდან აცხადებენ: ვაშინგტონიდან მოსული ცნობით გერმანიეთი მზათ არის უკან დაიხიოს. ადგილი შესაძლებელია მდგომარეობა გაუმჯობესდეს. ბერლინი ხმა გააძლიერა, გერმანიეთი ამერიკას პასუხს მალე გასცემს.

ამერიკელები და გერმანეთი.

პარიზიდან იტყობინებანი: ამერიკის სენატი ყოველდღე 2.000 დეკრემდე

ღებულობს, სადაც ფულის წყრომას გამოსთქვამდა და მოითხოვენ გერმანიის ომი არ გამოუცხადოთ. ეს დეპუტეები შეაგულ და დასავლეთ შტატებიდან მოდის, სადაც გერმანელები მოსახლეობენ.

შექსპირის დღესასწაული.

დაიწყო დღესასწაულის 300 წლის აღსანიშნავად.

შექსპირის სამშობლო ქალაქში სტრადფორდ-აკონში გამართულია გამოფენა იმ საბუთების ქალაქებისა რომელიც შეეხება შექსპირის ცხოვრებას.

ასეთივე მეორე გამოფენა ოქსფორდში.

ესპანეთის მეფე, გიორგი მეფის შემდეგ დეპუტე გაუგზავნა: ვამაკობთ, რომ თქვენი კეთილ-შობილი ხალხი, ესპანეთთან ერთად დღესასწაულობს ხსოვნას ორი დღეობა აღმინანისას.

მოგახსენებთ, დიდ მადლობას სერვანტესის და ესპანურ ენის პათვის-ცემისთვის ინგლისში.

25 მაისს პოლანდიაში, დანიშნულია კონფერენცია ნეიტრალ სახელმწიფოთა სოციალისტებისა.

იტალიის ასპარეზი.

იტალიის ასპარეზზე ამ ახლო მომავალში მოუთმენლად მოელოან დიდ მოქმედებას ავსტრიელთა განსადგენად.

დარღვევა შვეიცარიის ნეიტრალიტეტისა

15 აპრილს, გერმანელთა პაეროლანტის მიწაზე ყუმბარები ჩამოვარდა. ამან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია შვეიცარიელთა შორის. ამის გამო შვეიცარიის დიდი ბერლინს დაიბარეს,

პორტუგალია.

16 აპრილის ცნობებით, ლისაბონიდან სასტიკად იღვევებანი გერმანიის და მისი მოკავშირეთა ქვეშევრდომნი, უფრო კი გერმანიის.

პროტესტი.

ათინიდან იტყობინებანი: მაკედონელთა დეპუტეებმა დრაგუმისკის თავმჯდომარეობით განუცხადა ბულგარეთს პროტესტი საბერძნეთის საზღვართა გადალახვის გამო.

პარიზი პეტროგრადში.

სახელმწიფო საქმეების გამო სერბეთის პრემიერ მინისტრი პარიზი, ორის კვირით პეტროგრადს ეწვია.

შვეიცია-ნორვეგია.


შვეიცია-ნორვეგიამ 52.529.000 გადადეს საომარი სხმადისისთვის. აქედან 40 მილიონი ხმელეთის ჯარისთვის, ხოლო 12 მილ. ფლოტისთვის.

ოტო უოზელი.

გარდაიცვალა გერმანელთა დიდი პროპაგანდისტი და იტალიის ნეიტრალიტეტის დიდი მომხრე 60 წლის ოტო ფოხელი.

ამბოხება ირანში.

ლონდონიდან იტყობინებანი: თებთა პალატაში ბირელმა განაცხადა: ირანში ამბოხება. დუბლინიში მეამბოხეთ იგდეს ქალაქის სუთი უბანი.



„Victoire“-ში გრევე დუბლინის ამბებებს შესახებ აღწერს ინგლისელთა დამპყრობლებს ირლანდიისთან, ამ ტიკებს თუ რა მკაცრ პოლიტიკის მისდევდნენ ინგლისელი ნაციონალისტები. ძალმომრეობით უნდობლივ ინგლისს გამეფებდა ირლანდიაში. ბოლოს დასძინა: ამ უკანასკნელ დროს კი ინგლისმა შესძლო დაკავშირება ირლანდიასთან, რომელთანაც ერთად იბრძვის საერთო მიზნისათვის.

ლონდონიდან იტყობინებიან: ინგლისის კრიტიკები და ნაღობსები, რომლებიც გერმანელებს შეებრძოდნენ ლოუსტოფთან მშვიდობით დაბრუნდნენ. გერმანელთა ესკადრის შემოსევას უკავშირებენ ირლანდიაში მომხდარ ამბობებს.

ამის შესახებ „Times“ სწერს: გერმანელებს დიდი იმედი ჰქონიათ ირლანდიაში აჯანყებისა. ამის გამო აღმოსავლეთ ინგლისს დაეცნენ იმ მიზნით, რომ შეეჩერებინათ საზღვრებისაკენ გასაზღვრებად გამზადებული ჯარი.

### გრეკოლინ ველა

მდგომარეობა მესოპოტამიაში.

როგორც ირკვევა, გენერალ ტოუნსენდის დამორჩილების შემდეგ ოსმალთ საკმაო ძალები განთავსდნენ ირანის სივრცეში. ეს არც ისე გასაკვირვებელია. აგრეთვე ირანის ხელისუფლება მთელი ყურადღება აქეთ იყო მიპყრობილი, რომ ინგლისელები როგორც სპარსეთის ყურეში გადაეყვართ. ბალდის რკინის გზით განუწყვეტლივ ჯარებს აქეთ ერეკებოდნენ, რომ აქტიური მოქმედებით უზრუნველყონ ინგლისელებისთვის დაცვა ზარი. მართო მესოპოტამიაში სამი კორპუსი მოეყვანათ. ოპერაციას ხელმძღვანელობდა ახლა ხანს სახადით გარდაცვლილი გოლც ფაშა. მან გენერალი ტოუნსენდი, როგორც ვიცი, კტეზიფონიდან დახვის შემდეგ კუტში შეიშველია. ინგლისელებმა ალყა შემოარტყეს ჯარსა მისაშველელად გაგზავნენ გენერალი ელმერი, მაგრამ გოლც ფაშამ ეს მავალი ჯარიც თავის მხრით ტიგროსის ველზე იასინის პოზიციებში შეაწყვიტა, კუტიდან 12 ვერსზე. მგერი ეცადა გენერალი ელმერი გაეღწია რკინის რკალი, მაგრამ მაინც ვერას გახდა. თავის მხრით ახლა გენერალ ელმერის გამოსასწვლად ინგლისელებმა მესამეჯერ გაგზავნეს მავალი ჯარები ხევის მეთაურობით. იგი პირველ ხანებში მარჯვედ ირჯებოდა ტიგროსის ორთავე ნაპირებზე, მაგრამ ოსმალთაც გალობადიდან გამარჯვებულ ჯარებს მოუვიდათ და გენერალ ხევის ხელი შეუშალეს ოპერაციის სასურველად დაგვირგვინებაში. 4—5 აპრილს სასტიკი სისხლის დერა მოხდა. გენერალ ხევის ჯარი დამარცხებულ იქნა, ოსმალებმა ბრძოლის პირი გაორღიეს, ასე რომ ნიჭიერ სარდალმა მხოლოდ თავის გენიოსობის წყალობით გადაარა

ჩინა თავის ჯარები სრულს დალუბებდა. ამასთანავე მათმა მზვერავებმა გადამარკვიეს, რომ ოსმალთ კიდევ მოსვლიათ მავალი ჯარები. ირანელი ჯარები იმედი გადაუწყვიტათ ინგლისელებს შეეწყვიტათ ჯართა გამოსასხება და გენ. ტოუნსენდი დაინებდა კიდევ თავისი ათი ათასი კაცი.

კუტის ალბის შემდეგ, როგორც წინა მიმოხილვაში ვერაძობთ, ოსმალთ საკმაო ჯარები გაუნთავსდნენ. თქმა არ უნდა, ინგლისელებს შეეცდებინათ ტიგროსის ველზე გამაგრდნენ, მაგრამ ექვს გარეშე ისი. რომ როგორც ვერაძობთ ელმერი, ისე ხევი გასაქირში ჩავარდნამ. ოსმალნი შეეცდებინათ თავიანთ სიონებში, გეგმა განახორციელონ, ინგლისელთ იარაღი მთლად დააყრდენონ, ან და სპარსეთის ყურეში გადაეყვანონ, რომ მთელი მესოპოტამიის კორპუსები ბითლისის მხარეზე გამოგზავნონ გენერალ ელმერი გენერალ ბარათოვს და ეულენინს ისე არასოდეს არ ჰქონიოთ ზნეობრივი მოვალეობა დაკისრებული, როგორც დღეს, რომ აჩქარებულს ტემპით გასწვრივ ინგლისის ნაშთთა განსათავისუფლებლად, თუ არ ჰყოლო, რომ მოგვიწვირეთა პრესტიჟი დაეცეს როგორც მცირე აზიაში, ისე სპარსეთში. ნუ დაევიწყებთ, აზიის ხალხი, როგორც აღმოსავლეთური ტემპარამენტისა, სენსაციის მოყვარულია და მცირედი გამარჯვება და მცირედი დამარცხებაც დიდად იმოქმედებს მათზე.

#### რიგა-დვინის საპარეზი.

ნაროჩისა და ვიშნევის ტბების შუა გერმანელებმა მკვირცხლი საარტილერიო სროლა გააჩაღეს. როგორც ვიცი, ამ მხარეზე მოქმედებდა გერმანელებმა 15 აპრილიდან დაიწყეს. ერთი შეტევით სამ ვერსზე წაიწიეს და სწრაფადვე შეჩერდნენ. თქმა არ უნდა, ეს შეჩერება ხანგრძლივი არ იქნებოდა და, როგორც სჩანს, საარტილერიო სროლის გაჩაღებით მათ ჰსურთ იერიშების განახლება. ვერდნებთან ოპერაციის შედეგების შემდეგ დღებლებმა ახლა ამ ფრონტით დაიწყო წამოხილვა. ფელდმარშალ პინდენბურგის სახელეცკლავ ახმაურდა. მისი არმიადი დაფა-ფუცია. სატანტო გზებზე თების ცნობით გერმანეთი ამ ასპარეზზე კარგა მავალი ჯარები მოსვლიათ. იქსკულის სიმაგრეები ამოინშენს პირველად, შემდეგ შლოკისა, ბურსის მიხედვს რაიონი მიუშაბეს, ბოლოს კუნძული დალენი და მკაცრი შეტევით ვიშნევისა და ნაროჩის ტბის შუა გაილაშქრეს, ასე რომ ბრძოლის პირად ახლა მთელი ჩრდილოეთი ასპარეზი უნდა ვაღვიაროთ.

არაფინ ივის, რას აპირებენ აქ გერმანელები, ეს კია, რომ აქ ანალოგიური ამბები ხდებდა, რაც მონდა გასულ წელს ვისლაზე გადასვლის დროს. როგორც იქ კარგა ხნის დგომის შემდეგ ფელდმარშალი პინდენბურგი სწავლობდა მოწინააღმდეგის სუსტს მხა-

რებს, ისე აქ ხან სად სცდის თავის არტილერიის ძალს და ხან სად, რა არის იპოვის სუსტი მხარე-სახოვადო შეტევისათვის. საქმე ის არის, რომენინდ სიუბარბი იქნება მათი გალაშქრება რუსებისაკენ. არ უნდა დავივიწყოთ, მრავალ მწვავე გაკვეთილების შემდგომ რუსეთი საქმელად გაიწაფა...

#### X

### აგომეზა ირლანდიაში

პეტრ. დებ. საავ.

ლონდონი, 18 აპრილი. მეამბოხეთა შორის აღმოჩნდა გრაფ მარკვიჩის მუდლვე წარმომადგენელი ირლანდიის უმაღლეს საზოგადოებელს. ბოლო ხანებში იგი მიეზბოო სინეფინეთა მიმართულებას. განხრეკის დროს რამდენიმე საბუთი უპოვნეს.

ლონდონი, 18 აპრილი. დუბლინიდან მიღებული ცნობებით, სინეფინეტიზმმა აღმართეს ამბობების დროში. მათვე ვაეგრეტეს გერმანეთში დაბეჭდილი პროკლამაციები. პრეკლამაციებზედ ხელი აქვს მოწერილი შვიდს ცნობილ ბელადს. სხვათა შორის ჯეგე კოროლისა და პირს. მეამბოხეთა ერთი ხელმძღვანელი გრაფ მარკვიჩის მუდლვე, ტომით ინგლისელი აღმოჩნდა პოლიცელ გრაფზე გათხოვილი. ოამდე იგი დიდ მონაწილეობას იღებდა სუფრაჟისტების მოძრაობაში. რაც შეეხება სინეფინეთა წინამძღოლს კონოლისს, იგი დაჩნებდა. ყალიბდ გამოდგა ცნობა, ვითომც მას თუბ მოგვლას.

დუბლინიში აჯანყებულები დაჩნებდნენ. 15 აპრილს შეიპყრეს 1.000 კაცი. სითავ 389 ინგლისში გაგზავნეს. მეამბოხენ ბევრგან ჰხებდნენ.

აჯანყებულთა ხალხი შეიარაღებული ხიშტიანი თოფებით, შეიჭრა ფოსტაში და გამართა სანგრები. გეგმა აზრიანად იყო შედგენილი: მეამბოხებმა იხელეთ ავტომობილი და დაიჭირეს რამდენიმე უზნობა, საიდანაც ესროდნენ ჯარს და მშვიდობიან მცხოვრებლებსაც კი. სანგრები ჯერ ისევე გამოართულია ფოსტის შენაგეში. სხვათა შორის, მეამბოხეთა ერთი წინამძღოლთაგანი შუხანის ქალია, სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილი. სინეფინეთა ორგანიზაცია, რომლის მიზანია ირლანდიის ჩამოშორება ინგლისისგან, დაფუძნდა ჯერ კიდევ 12 წლის წინად. მასში მონაწილეობს დაიბენტი კი თანელი წარმომადგენლები არა ჰყოლია.

(გაზეთებიდან)

უკვე შეიპყრეს ორ გერმანელ ოფიცრის თანამხლებლობით სერ როჯერის ქემბერტი, ხოლო მს წყალქვეშა რომდითაც მისულან თვითონ გერმანელებმა დაპლუეს. მარკვის ლენსდოულის ცნობით, 11 აპრილს, მეამბოხებმა დუბლინის ციხე-დარბაზზედ იერიში მიიტანეს. დაიჭირეს სენტ-სტივენს-

გირინ და შემდგომ ყუმბარა-ტყვის სროლით შეაჩერეს ყუმბარებიდან დაბრუნებული ჯარები. ვარდა ამისა, მეამბოხებმა ხელთ იგდეს ფოსტის კანტორა, ორი სარკინისგზო სადგური და შეაჩერეს ტელეგრაფის მოქმედება. პრეფინციში კი სიწყარზე არ დარღვეულა. ახლად მიღებული ცნობებით არ სჩანს, რომ უმთავრესი ბუდე მეამბოხეთა ლაბერტ-ხოლილი დაქვილია ჯარისაკენ, რომელმაც ნახევარი უკვე გააჩაღებრა. ახლა კი მდინარის ჩრდილოეთის მხარეს შუაგული ნაწილი დუბლინისა, შემოარტყულია ჯარებით.

როგორც პარიზიდან იტყობინებიან, ინგლისის ჯარი დუბლინს მივიდა. ზოგიერთი ადგილი ქალაქისა წაართეს მეამბოხებებს. დუბლინი და მის სავარდნიში შეიშველია სამხედრო წესები, რაც შეეხება ქალაქის განაპირა ადგილებს, იქ სრული სიმშვიდეა. ვიკე-კაროლი, რომელიც გადარჩა მეამბოხეთა ტყვეობაში, დეკემბრით იტყობინება, რომ მდგომარეობა თან და თან გამოკეთდა. ტელეგრაფშიც დაიწყო მოქმედება.

რომიდან იტყობინებიან: პაპა ფრიად აღელვებულია დუბლინის არეულობით, მან თითქმის ირლანდიელთა ყველა ეპისკოპოსზე გაუზავნა მიწერილობა, რითაც იგი სიხოეს კათოლიკეთა სამღვდლოებს, შესაფერისი ერთგულობა გამოიჩინონ ინგლისის მიმართ.

#### თბილისი, 21 აპრილი.

1906 წელს, 5 დღე-ღამეში სოფლის, ძირითადად კონარების 87 მუხლის ძალით გამოიკა უმაღლესი ბრძანება სოფლის საზოგადოებისა და სხვა ყოფილ დამოკიდებულ წოდებებთა სხვა წოდებებთან უფლებრივ გათანაფრთხილებას. ახალი კანონი ფაქტიურად, ცხოვრებაში ვერ შექმნიდა სრულს თანასწორობას და ეს უმაღლესმა მთავრობამაც კარგა იცნა. შინაგან საქმეთა მინისტრის მიხედვით ამ მოვლენას თავის მოხსენებაში. მართლაც, სანამ გლეხობა დარჩებოდა განკერძოებულ თავის ძველ უფლებრივ აღმინისტრატულ და სასამართლო დაწესებულებებში, მანამდის, უმაღლესმა ალიარბულმა, მათი უფლებრივი თანასწორობა უსიკოცლო იქნებოდა. იმ დროს სხვა რეფორმებიც იყო განზრახული და სხვათა შორის—უფლებრივი სასამართლო და ადმინისტრაციული ერთეულების შექმნაც; ამის შემდგომ 2, 3 და 4 სათათბირომ თუ სახელმწიფო საბჭომ განზრახული რეფორმები არ მიიღეს, ან გადადეს. ამ რიგად დარჩა პაერში ჩამოკიდებული გლეხობის უფლებრივი უთანასწორობის მოშორების კანონი, რომელიც გლეხობის თანასწორ უფლებრივობას ალიარბულად ამავე დროს ცხოვრებაში მას ვერ ანზორცილებდა.

თით 87 მუხლის ძალით მიღებულმა კანონ-პროექტმა, ათი წლის მოგზაურობის შემდეგ, ძლიერ მიაღწია საკანონმდებლო დაწესებულებას, რომელმაც ის უნდა მიიღოს, ან უარკუთ. სათათბირო შეუდგა ამ კანონ-პროექტის განხილვას და იქვე არ არის ის მას დაადასტურებს, მაგრამ შესცვლის ეს კანონ პროექტი სოფლის წოდების უფლებრივ მდგომარეობას სინამდვილეში? სრულდებითაც არა. კანონპროექტი დაადასტურებს უმაღლესად გამოცემულ 1906 წლის ბრძანებას, რომ გლეხობას მინიჭებულ აქვს პირადი უფლებრივი თანასწორობა. ამის გარდა კანონპროექტში ისიც არის მოხსენებული, თუ რა რეფორმებია საჭირო ან უფლებრივ თანასწორობის განხორციელებისათვის. ადგილობრივი სასოფლო უფლებრივად ადმინისტრატულ და სასამართლოს დაწესებულებების შექმნის საჭიროებასაც იხსენებს კანონპროექტი. ამასაც დათავნებდა უფორდ სახელმწიფო სათათბირო, მაგრამ ეს კიდევ ვერ შექმნის სრულს წოდებრივ თანასწორობას. სათათბიროს დადგენილებას პროგრესული ხასიათი ექნება მომავლისთვის და სასოფლო საგლეხო მართელობა და სასამართლო კი დარჩება ისევე, სანამ ამის შესახებ ცალ-ცალკე არ შემუშავდება კანონპროექტი. ორსტიკის და შინაგან საქმეთა სამინისტროებში, და სათათბირო-სამუშაო გარემოში კანონად არ იქცევა, ანდა არ დამტკიცდება ის კანონპროექტები, რომელნიც კარგა ხანია მოგზაურობენ სხვა და სხვა კომისიებში. ამ რიგად სათათბიროში შეტანილ კანონპროექტს უფლებრივი თანასწორობის შესახებ წინადადებაც არ აქვს ის მნიშვნელობა, რომელსაც მას ზოგიერთი სახელმწიფოებრივი რომანტიკოსები აკუთნიებენ.

რუსეთის უფლებრივი განვითარება თავისებურად სწარმოებს. 17 ოქტომბრის მანდრეტმა იურიდიულად ძირიანად შესცვალა სახელმწიფოებრივი უფლებრივი და სახელმწიფოს ახალი უფლებრივი საფუძველი ჩაუყარა. მაგრამ მრავალგვარი თავისუფლებები ცხოვრებაში განხორციელებას ვერ უტარებენ, ვინაიდან სახელმწიფოს ელემენტრივი მხარე შეეცალა და სახელმწიფოებრივი ორგანოები, მექანიზმი, რომელთაც ეს ცვლილებები ცხოვრებაში უნდა გაეტარებინათ, ძველი დარჩენ, ამ მეტად ნელა იცვლებოდა. ასევე უფლებრივი თანასწორობაც, ალიარბული პირადი თავისუფლების და თანასწორობის პრინციპი სიტყვად რჩება, რადგან უფლებრივი კიდევ ძველი სასამართლო და სადმინისტრაციო ერთეულებში არიან მოწყვედილი. რუსეთი ამ საშინელ განსაკიდებამაც კი ვერ დააყენა იმ უფლებრივ განვითარების გზაზე, რომელზედაც მოწინავე ერებმა საუკუნეებით წინ შესდგეს ფეხი და დღეს უფლებრივი თანასწორობის პრინციპი ჩამოაჩინული ერებიც კი მგვიდრად ადგებიან.

საფუძვლების გამოკვეცვას. ერობის საკითხს ჩვენს ქვეყანაში დიდი ისტორია აქვს და მთავარი თათბიროც თავის მუშაობას თვითად არ დაიწყებს. იმპერიაში მოქმედი საერობო კანონმდებლობა და ჩვენს ქვეყანაში წინათ მომხდარი თათბირების ნაშუგვარი უთუოდ ძირითად მისალად დადებდა მომავალს თათბირს. ძველი წესის თუ ახალ უფლებრივ დამოკიდებულებათა შენობებში მეცნიერულ კვლევა-ძიებას, თეორიულ ნაშუგვარსაც საპატიო ადგილი აქვს მკუთვნებული და უთუოდ თათბირზედ ადგილი ექნება მომქმედი საერობო კანონის კრიტიკასაც და ახალი პროექტების წამოყენებასაც.

ადგილობრივი პრესა უკვე ალაპარაკდა მომავალი თათბირის შესახებ და ირკვევა რომ საერობო თათბირზედ თავს წამოყოფს თითქმის ყველა ის პროექტები, რომელნიც შემუშავებული ჰქონდათ სხვა და სხვა წრეებს. „კავკასკოვ სოფო“ ამჟღავნებს ჩვენს მეზობლების—სომხების,—სურვილებს. სომხეთა ზოგიერთ წრეებს, როგორც სჩანს, გადაწყვეტილი ჰქონიათ შეურიგებელი სული შეიტანონ მომავალ თათბირშიც. ან ისეთი ერობა, როგორც მათ სურათ, ან სულ არაფერი—ი ის ლოზუნგი, რომელიც მათ წამოუყენებიათ. საშუაბარო, რომ ჩვენს ქვეყანაში ერობის შემოღების მრავალ-ტანჯულმა ისტორიამ ჯერ კიდევ ვერ განკურნა ზოგიერთი ასეთი შეურიგებელი და განუხორციელებელი მისწრაფებანი. ჩვენს კუთხეულ ქვეყანაში ბევრია კიდევ დარწმუნებული, საკმაო რომელიმე გჯუფის, ან ეროვნების სურვილი, რომ კავკასიაში დამყარდეს ისეთი წყობილება, რომელიც მთელს კავკასიის მხარეს ახალ ყველა მხარედ მოსახლ ერთგებებს აინტერესებს. უფლებრივი ცხოვრება სახელმწიფოში ემყარება საზოგადოების წევრთა ინტერესების შეთანხმება—კომპრომისებს. რომ ყველა მხოლოდ თავის სურვილებს ანზორცილებდეს და სხვისას ანგარიშს არ უწყევდეს, საზოგადოებრივი ცხოვრებაც მოსიპობოდა და პირველივე ველურობა გამეფდებოდა. რასაკვირველია, ჩვენს მრავალ-ტანჯულს ასეთი უკიდურესობას ვერ შევწამებთ და თუ სომხის საზოგადოებაში მოაპოვება ისეთი მიზანობა, რომელსაც მსურს ცხოვრება მთელი ჩვენი ქვეყნის თავის ეგოსტურ სურვილებზე აავსოს, უთუოდ მას ისევე თავისიანები შეაკევენ და საერთო საქმის შეფერხებისა და დაზარლების ნებას არ მისცემენ. ქართველი საზოგადოება საბუნდობლო უკვე გადასცილდა იმ ხანას, როდესაც ის თავის მდგომარეობის თანდათანობით გაუმჯობესობას არ სცდილობდა და ერთი დაკერით ფექობდა ქვეყანაში ბუნდობ-

### საქართველოს აერონავიკური სხოვრების განსაზღვრა

(გაგრძელება. იხ. „საქრ.“ № 87)

ფულის ოპერაციები დასავლეთ საქართველოს ხაზინებში:	ფულის ოპერაციები დასავლეთ საქართველოს ხაზინებში:	ფულის ოპერაციები დასავლეთ საქართველოს ხაზინებში:	ფულის ოპერაციები დასავლეთ საქართველოს ხაზინებში:			
ზანაზნა მილიონობით	გამოსული ფული მილიონობით	გამოსული ფული მილიონობით	გამოსული ფული მილიონობით			
1908	8.981,268	63	10.485,027	23	1.503,758	60
1909	9.673,312	46	14.402,122	94	4.728,810	48
1910	10.318,723	95	15.743,729	12	5.430,005	17
1911	10.976,423	01	17.576,033	02	6.599,610	01
1912	8.779,417	26	11.161,769		2.382,351	76

უკანასკნელ 1912 წლის ციფრებში არ შედის სოხუმის ხაზინის საგზავნების წარმოება, ვინაიდან უკანასკნელი მისში სახელმწიფო ბანკის სოხუმის განყოფილების დაარსების გამო.)

გამოსილულ საგზავნების (Переводная) ლიონებულთა თან და თან იზრდება ე. ი. იზრდება ამ ფულის თანხა, რომელთანაც ბარდება ადგილობრივი ვაჭარ-მრეწველთა უცხო ფირმებიდან საავტოო საქონლის მათდამი გადაგზავნით. ცხადია ეგ ზრდა ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას მოწოდებს, იმ ვაჭრულ დამოკიდებულების განდიდებას, რომელიც მუდროით აერთებს ერთ სამრეწველო თუ საავტოო რაიონს მეორესთან. იგივე აზრი მტკიცდება იმ ექსპოლტების გამოსილდით, რომელიც წარმოგზავნილია უცხოეთიდან ადგილობრივ ვაჭართა მიერ დასასწვლად:

გამოსილულ იქნა ვაჭ. მუხ. სახაზინო პალატის რაიონში:	გამოსილულ იქნა ვაჭ. მუხ. სახაზინო პალატის რაიონში:	გამოსილულ იქნა ვაჭ. მუხ. სახაზინო პალატის რაიონში:	გამოსილულ იქნა ვაჭ. მუხ. სახაზინო პალატის რაიონში:
რაოდენი (კლი.)	წილი	წილი	წილი
1	1908	12,614	+28,3%
2	1909	16,706	+21,7%
3	1910	21,178	+26,1%
4	1911	23,032	+8,9%
5	1912	20,178	-11,9%

გაზანისების (Переводная) ოპერაციების წარმოება პირველ იანვრიდან 1912 წ.

პროცენტუალური ზრდა გასანაღდე პლათ უცხოეთიდან წარმოგზავნილ და აქ გამოსილულ ექსპოლტების ლიონებულთა ალიონშულია ამ ცხრილში ყოველ მიჩნულ წლისთვის წინა წელთან შედარებით; მხოლოდ უკანასკნელი 1912 წელი იკლებს წინა წელთან შედარებით ცოცაოდნათ; მისდა მიუხედავად 1908 წელთან შედარებით იგივე 1912 წელი მძაფრ განდიდებას მოწოდებს 74,07%ით. ამდენად მეტი საავტოო შეთანხმებები მოხდა 1908—1912 წლებში ე. ი. ხუთი წლის განმავლობაში. ადგილობრივი ვაჭარი საავტოო მიზნებით უცხო სამრეწველო რაიონში, უმეტესათა რუსეთის ცენტრალ გუბერნიებში, მოგზაურობისას ვაჭრულ შეთანხმების დროს მიღებულ ანუ დაკვეითა საქონლის ნაცვლათს სდებს მიჩნულ უცხო ფირმის სასარგებლოთ; უზრუნველ საყოფათ, ექსპოლტის რომელიც ვადაზე უკან დაუბრუნდება გამოსასილდათ; რაც მეტი ექსპოლტება გამოსასილდით მით მეტი ვაჭრული საქმეები უწარმოებიათ ადგილობრივ ვაჭრებს უცხოელებთან. იმავე დროს ექსპოლტების ლიონების განდიდებას განდიდებას მოწოდებს უფრო მეტი ვაჭრული საქმეების ბატონობას ჩვენს სამრეწველო ბაზარზე, თუმც ეს ეროვნული დამოკიდებულებათა სამეურნეო თვალთაშორის, მაგრამ აღნიშნულ ოდენობის ზრდა იმავე დროს დამამოწმებელია მცხოვრებთა, მოქალაქეთა ყიდვით ძალის (Kaufkraft) პროპორციონალურად ზრდისა, რაც იგივე სამეურნეო, ეკონომიური პროგრესია. აგეთია საერთო დახლოებებით სურათი სამეურნეო ე. ი. ეკონომიური ცხოვრებისა ჩვენში უკანასკნელ თუთხმეტიოდ წლის განმავლობაში. ამ სურათიდან ჩვენ ვამოვიკობთ ორთა

უმათავრესი რამე: ნელი მაგრამ მაინც საგრძნობი ზრდა ჩვენი ეკონომიკისა, რომელიც გამოიხატება მიჩნულ სამრეწველო და სავაჭრო დარგთა წარმოების განვითარება—განდიდებაში და—ეკონომიური ცხოვრების, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების დედა-აზრი ე. ი. იდეია, რომლისკენაც ისწრაფვის მოქალაქობრივი განვითარების სრულია. ეს იდეია გახლავთ უცხო რაიონებთან ადგილობრივი ეკონომიკის განთავისუფლება ე. ი. ეკონომიური დამოუკიდებლობა. ეგ იდეია ჩვენი ცხოვრების ყოველ-ღიორი მსვლელობისა და მოქალაქობრივი განვითარებისა პოლომს თავის ნივთიერ გამოხატულებას ზემო მოყვანილ ციფრათა ჩვენთვის სასარგებლო ზედ-მეტრობაში. ამ მოკლე სტატუტი მიმოხილვადან ცხადად გამოდინარობს იმ სამეურნეო პოლიტიკის (Wirtschaftspolitik) მოხაზულობაც, რომლის მთავარი დებულებანი ხელს შეუწყობენ ქართული მეურნეობის ზრდა-განვითარებას. ამ პოლიტიკის შესახებ ვისაუბრებთ შემდეგ სტატიამში; ეხლა-კი გავანტრეცვს ვაჭრული საქმეებისა, რამდენიმე აქვს აღნიშნულ ეკონომიური განვითარებას ჩვენი სოციალური ცხოვრებისთვის და რა ზეგავლენა მოახდინა მან ჩვენი საზოგადოების აგებულებაზედ. წარმოგზავნის ვარგისი მიწა-წყლის მოძრაობას რომ დავაკვირდეთ შენდვი სურათი გადისლება ჩვენ თვალწინ: დიდად გლეხთა განთავისუფლებისა ჩვენში, წარჩინებული ფოლდება ადგილ-მამულს უთმობს სოფლის მოჭრინახულ-მეურნეს; ქუთათის საფუძვრით გლეხთა საქმეებისათვის „პრისუტსტივი“-ს ოფიციალურ ჩვენებით, სოფლის გლეხობას გამოუსყიდია 1915 წლის პირველ იანვრამდე

სულ 433.452 ტკევა მიწა ღირებული 8.384.657 მან. ამას კიდევ უნდა მიუმატოთ 20 დეკემბრის 1912 წლის კანონის ძალით შესყიდული მიწა იმავე გლეხობის მიერ რომელიც უდრის 2634 დესეტინას და 1852 ოთხკუთხს საყენს ღირებულობით 180.188 მან. და 30 კაპ. ამგვარი გამოსილდისა და შესყიდვის პროცესთან წარმოებდა დედე თავისუფალი ყილგა-შემენა გლეხთა მიერ. ქუთათის საოლქო სასამართლოს უფროს ნოტარიუსის ჩვენებით 1903 წლიდან მოკიდებული მდგომარეობა 1916 წლის პირველ იანვრამდე გლეხებს შეუძენიათ სულ 10.421 დესეტინა\*\* და 718 ოთხ-კუთხი საყენის მიწა ღირებული 1.196.209 მან. და 81 კაპ. საერთო ჯამი რომ შეევიდებოდა, მაგრამ, რომ გლეხთა მიერ შეძენილი მიწა უდრის 176.520 დესეტინას და 970 ოთხკუთხს საყენს, რომლის საერთო ღირებულებაც დაახლოებით 9.788.589 მან. უდრის. ეგ ციფრები უფრო ნაკლებ რიცხვს იძლევიან, ვიდრე გლეხობაზე გადასულ მიწის რაოდენობა სინამდვილეში იქნება, რადგან ეს ოფიციალური სტატისტიკა, რასაკვირველია, არ გულისხმობს ჩვენში ხშირ შინაური ნასყიდობით გლეხობაზე გადასულ იმ მიწას, რომელსაც დაესაქუთა გლეხი ამა თუ იმ სოფლის მთავრობის უშუალოდ; აგრეთვე მეცვიდრობით გლეხობაზე გადასული მიწაც არ არის შესული ზე-

მო მოყვანილ მთავრობის სტატისტიკაში. მაგრამ მოყვანილი ციფრიც, რომელსაც ჩვენ როგორც მინიმუმს ვიყენებოდათ, აშკარად გვიბრკელებს თუ რა რიგით მალდებდა სოციალური საფუძვრზე შრომის ღვი



ზიად 10%-ის ნაკლებად აწახანა 100% და ეს კომპროციული ჯამბაზობა ხდება მთავრობის, პრესის, საზოგადოების და ექსპრესიონის ხალხის თვალში...

ამაზე შორს ვეღარ წავა ჩარჩული-ვაკრული თილისმა-თინები! ასეთი საარაკო საქმენი შესაძლებელია მხოლოდ ჩვენში, ჩვენს დღეებში (ცხოვრებაში)... ახმაურდა პრესა და საზოგადოება, უზომოდ აღზუთდა გამწარებული ხალხი, ყველანი ერთად უკეთებენ ფრიდონოვს მოტყუებას, სიყალბეს, უსაზღვრო სპექულიაციას, ბოროტობას, მოქმედებას; ყველანი ერთად სვამენ მას დანაშაულის სკამზე, მაგრამ სდუმს ლადი და მამლარი ფრიდონოვი, რადღაც იცის, რომ მას ვერაფერს დააკლებენ, რადღაც ხელს უკავია თილისმის წყება, რითაც ყველას უზენაეს თვალს და უჩვენებს შავს თეთრად...

დიახ, სდგას და არ იღებს ხმას მ. ფრიდონოვი, მასზე არ მოქმედობს, როგორც ჩანს, ამდენი მხილველი და შერცხვენი. სდუმს იგი და, კრილოვის წუწქ კატასავით, მაღიანათ მიორთმევს სხვის გემრიელ საუშუმს. მას არ ესმის თქვენი მალაღი ხეობა.

თქვენ რამდენიც გინდათ იტყვიეთ და იყავით, მე ამ დროს ჯდები ვისკელებს და მილიონებს ავაცილ უწყო ხალხსა, თითქმის ბრძანებს თავის დღეში 2-ნი ფრიდონოვი და აი კიდევ ასრულებს თავის ზრახვას. დიდი იმედი ჰქონდათ იმერეთის მემამულე მეფის ნაცვალთან გაგზავნილი დეპუტატის, მაგრამ ეს იმედი გაუტრუნდათ. სასომხილი ხალხი იტყუებულა ახლა ამ შეიძინის ფუთი შაბიანში 7—8 თუმანთ, (ამ უამათ იმერეთში 70—80 მანეთამდე ასულა ფუთი შაბიანში), ან დასტროვოს უწამლოთ და ერთიანად დაღუპოს თავის ვენახები.

ნუ თუ ამ საარაკო ამბებს არ უნდა მიექცეს ჯეროვანი კურალდება? ნუ თუ ერთ სომეხ ფრიდონოვის მეტი ძალა და გავლენა აქვს რუსეთის იმპერიაში, ვინმე მივლს ქართველ ერსა და ამიერ კავკასიის მკვიდრებს? ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ უუსაშინეს ბოროტებს და უსაზღვრო სპექულიაციას მიაკეცეს უშენაეს მთავრობა გეროვან კურალდებებს და არ მისცემს ნებას, რომ ერთ კაცს შეეძინოს უკანონო მილიონები და ამავე დროს რამდენიმე ასი თათი მემამულე კი დილუპოს. საჭიროა ახლავე სასტიკი ზომების მიღება და სრული რევიზიცია მთელი შაბიანის, რაც კი აღმოჩნდება კავკასიაში, სულ ერთია ფრიდონოვის აწარა თუ ფარული საწყობებში აღმოჩნდება ეს ლუჯი მარლი თუ მისი აგენტების და ისე ვაჭრების ამ მემამულეების სარდაფებში. საჭიროა ახლავე მოხდეს ეს რევიზიცია და დაუროგონ ხალხს ფუთი მანეთად, რადგან ამ ფასად გამოუგზავნა ლონდონიდან და ლამაზი შიშით თელავის საკრედიტო ბანკიანობას 10,000 ფუთი შაბიანში თბილისში ჩაბარებით, მაგრამ გვიან გამოგზავნილი გემი გაიყინა ჩრდილო ოკეანეში.

საგულისხმოა კიდევ ერთი ფაქტი: სხვილ მემამულეს სომეხ ანანოვს მოუხერხებია და მიუღია ფრიდონოვისგან 600 ფუთი შაბიანში, მაშინ როდესაც მას უჭირებდა მხოლოდ 30—40 ფუთი, რადგან 15 დეკანამდე თუ ექნება ვენახი. ახლა იგივე ანანოვი ცდილობს თურმე ქუთ. გუბ. მეიერ-ხობა-მედიცინის კომიტეტის კორდენით მიიღოს კიდევ ფრიდონოვისგან 8,000 ფუთი. იბადება კითხვა: ნეტა რათ უნდა ანანოვს ამდენი შაბიანში, ან საიდან აღმოჩნდა ფრიდონოვის ამდენი ლუჯი მარლი, რომ ერთ კაცს მისცეს თუ კი, მისი სიტყვით, მან მიიღო მხოლოდ 12,400 ფუთი? ნეტა ხომ არ არის სომეხ ანანოვი, სომეხ ფრიდონოვის ფარული აგენტი და შაბიანის გამსაღებელი? ან ხომ არ უნდა ანანოვს ამ შაბიანით ხელში ჩაიკავოს იმერეთის მემამულეები და ოხრის ფასათ შეიძინოს მათი ოჯახი და შრომით მოწვეული ღვინო და ყურძენი? აქ ჩვენ გვაქვს საქმე კიდევ ერთ უუსაშინეს სპექულიაციასთან და ხალხის სისხლის წოვასთან...

**რიონელი.**

**საარაკო თათბირის ბარუბა**  
გაზეთი „პირიონი“ ანგარიშობს, რანაირად არის განაწილებული ხმები საერობო თათბირზე. 25 ხმა ეკუთვნის დახვედრულ ამიერ-კავკასიას, ეს ხმები შესდგება ანანოვად: თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის და ნოვოროსისკის ქალაქების, სამირო კომიტე-

ტებიდან 11 ხმა, შავი-ქვის მრეწველებისგან 1, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათაგან 6, თავდა-ანაურობისგან 6 და კოოპერატივებისგან, რომელთა ცენტრიც უქვეყნია, თბილისში იმება—1. აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიიდან ბაქოს გუბერნიას, დაღესტნის ოლქს და განჯის ნაწილს აქვთ 6 ხმა. ბაქოს ქალაქის თვით-მართელობის, სამირო კომიტეტის და სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისგან 5 ხმა. განჯიდან 1 ხმა. სომხეთის ამიერ-კავკასია იძლევა მხოლოდ ერთ ხმას ქალაქ ერევნიდან.

ეროვნულად სომხური ვაზეთი ხმებს ასე ანაწილებს: ქართველებს ექნებათ 18 ხმა. (თავდა-ანაურობისგან 6 ხმა, საქალაქო თვითმართელობისგან და ქუთაისისა, ბათუმისა და სოხუმის ბირეებისგან 4 ხმა, შავი-ქვის მრეწველებისგან 1 ხმა, კოოპერატივებისგან 1 ხმა, თბილისის, ქუთაისის, ბათუმის და სოხუმის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისგან 4, სამიერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისგან 1. თბ. საქალაქო თვითმართელობისგან 1. სომხებს ექნებათ 6—8 ხმა, თათრებს 3—5, რუსებს კი, ვარა და დემინსტრაციის წარმომადგენლებისა, 2.

ასეთი განაწილება „პირიონის“ უსამართლოდ მიანია და თხოულობს თათბირი შეესებულ იქნას სომხებით. (სახ.)

**საგზაგაო საზოგადოება**

საგზაგაო საზოგადოებას განზრახული აქვს მოაწიოს ახტალაში სამკურნალო. ავადმყოფთ უწყობილებს და გეოგრაფიკ სასურნალო ტალახით. ასეთი სამკურნალო ტალახის მეცნიერულად გამოკვლევის ხასიათი ექნება და ამიტომ ავადმყოფთა რეგისტრაციის სისწორით აწარმოებენ. საერთოდ ახტალის სამკურნალო ტალახს დიდ ყურადღებას აქცევენ საგზაგაო საზოგადოება და თუ ის დარწმუნდა, რომ ამ ტალახს მართლაც უღირსი მნიშვნელობა აქვს, იმ შემთხვევაში საზოგადოება სამკურნალო ავარაკს მოაწყობს ახტალაში. ჯერ-ჯერობით კი საზოგადოება შეუდგება გამოკვლევის ახტალა, გაიგოს არის თუ არა ტალახში რადიის ძალა, ქიმიურ ანალიზის საშუალებით შეისწავლოს ტალახი, გამოარკვიოს ახტალა მალარიის მხრივ. ახტალის გეგმა უკვე გადაუხეული აქვს საზოგადოებას. აგრეთვე ახტალაში მოწყობილია მეტეოროლოგიური სადგური, რომელსაც განაგებს გ. პ. სარაჯიშვილი.

**საგზაგაო საზოგადოების**

დღევანდელს ჩვენს ცხოვრებაში ერთ მნიშვნელოვან საკითხს შეადგენს საქართველოს ეკლესიის საკითხი. ჩვენ არა ერთხელ ავანინუნავს მისი. დიადი მნიშვნელობა, რომელიც თხოულობს კარდინალურ დაყენებას და რაც შეიძლება მაღლადკურსი. მიუხედავად ამ საკითხის სიდიდისა, უნდა გამოვტყუდოთ, რომ საქართველოს ეკლესიის საკითხი დღეს გადაიჭრა მხოლოდ სალაყბო საგნით, რამე პრაქტიკულ ნაბიჯის გადადგმაზე კი თითქმის არაფერია ზრუნავს. თუ დღეს შემდეგაც ესე ვაგრძელებდა, ეს ვერავფიქროს მანუგებელია, რადგანაც ფინანსოლოგიურად რომ ვანგისჯოთ ლაპარაკი, თუ მას საქმე არ უძღვის წინ, უფრო მიუხედავია, ვიდრე დღემო.

პირველად რომ შეგხედოთ, ჩვენი ეკლესიის ბედმა თითქმის ყველანი დაინტერესა, ყველგან მითქმა-მოთქმა გაისმის, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნული მხარეა და უბრალო ცნობისმოყვარეობას წარმოადგენს. რით უნდა იხსნას ამგვარი მდგომარეობა? იმით, რომ ის წილებს, რომელიც უფრო უნდა იყოს დაინტერესებული ეკლესიის საკითხით, მის ბედობლობაზე ზრუნავდეს, დღეს მას ჩამოშორდა უბრალო მყურებლად ვარაუდებია. ვიდრე თვით სამეფოელოება არ მიიღებს მხურვალე მონაწილეობას, ივერიის ეკლესიის ბედი გამოურკვეველი და გარდაუწყვეტელი დარჩება.

აღსანიშნავია ერთი რამ: მას შემდეგ, რაც ივერიის ეკლესიამ დაპყრობა ავტოკეფალიური წესწყობილება, ქართველი სამღვდლოება არ გამოსულა არამც თუ ივერიის ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებების აღსადგენად, არამედ „მინიჭებულ ახალ უფლებების მოსაწესრიგებლად“. ქართველი სამღვდლოება მხოლოდ მყურებელთა წრეს წარმოადგენს და დღემდე ეს პასივობა გრძელდება.

ჩვენ გვახსოვს ერთი მაგალითი, როდესაც სამღვდლოება ხმა აიმაღლა და კრებაც მოიწვია. ეს მოხდა 1905 წ. მიელი ამ კრების შინაარსი შევიკითხო სამი სიტყვით ვადმოვლო: „შეიკრიბნენ, „გარბივს“, და „შალნენ. ეს იყო და ეს. მხოლოდ ეს „გაბედული“ ნაბიჯი შეჩერა ჩვენს სამღვდლოებას და ამით კი ამასობინ კიდევაც, როცა მათ კაცი უსაქმიანობისა გამო საყვედურს უტყავდეს. მაგრამ ამ შემთხვევაშიც სამღვდლოებას „გაბედული“ ნაბიჯი იმით აიხსენება, რომ განმანათილვებულ მობრძაობის დროს სირცხვილიც კი იყო კაცი პროტესტანტთა არ გამოსულიყო. ამ შემთხვევაშიც სამღვდლოება პირველად აიძულა და აკი „შეიკრიბნენ“ კიდევ: ამ კრების შემდეგ განვილოთ თანა წელმა და კრებაზე აღმართული საკითხები და მათი ავტორები საღიაც ვაპკრინენ.

ვინა ამ ათი წლის განმავლობაში ყურად სიღები არა მომხდარა რა? ვავისენოთ ყოველად სამღვდლო ეპ. კირიონის და ეპ. დავითის ბედი, ალბათ დიდი კათედრის გაუქმება და სხვა მრავალი საკითხი, მაგრამ ქართველმა სამღვდლოებას აქაც დღემო არჩია საქმიანობას. ალავერდის გეორგიის აღდგენად დიდი სიხარული გამოიყვანა ქართველ ერის გულში, მაგრამ ეს ფაქტი სამარცხნო აღვიღს დაიჭერს ქართველ სამღვდლოების ისტორიაში. ქართველ სამღვდლოებას ითიქოს რადიც ტვირთის მოშორება იგრძნო, როდესაც ალავერდის ეპარქია აღდგინეს. ქართველი სამღვდლოება მის ღსადგენად იღებდა, ისე უწყობდებოდა სინოდს ითავა საქმე და მტერობოლიტ პიტრიმის დახმარებით სამღვდლოებას აღუდგინა ალავერდის კათედრა. ნეტავი, სამღვდლოება არ გააწიოდა უწყ. სინოდის გულუხვობა? ვავიმეორებთ, ვიდრე თვით სამღვდლოება, რასაკვირველია, ერის დახმარებით, არ ითავებს ივერიის ეკლესიის საკითხს, მანამდე ეს საკითხი რეალურ ნაყოფს ვერ გამოიღებს.

მაშ რა გზას უნდა დაადგეს სამღვდლოება? ნუ თუ დღემო, ისეთი საკითხის შესახებ, როგორც სოხუმის ოლქის ჩამოჭრა, მოსაწონია? და განა ამის გარდა ცოტა საკითხია ივერიის ეკლესიისთან დაკავშირებული, რომელიც არ იმეც ვადმოწყვეტას საქართველოში? ანამდე ვადმოწყვეტას საქართველოში? ქართველი სამღვდლოება ტყუილად დაიჭერს იმებს უწყობდეს სინოდს. დღეს, როდესაც ყოველად უსამღვდლოესი პლატონი ქართველ მოძღვართ საყვედურა ეუბნება და ეუბნება კიდევ, იმითომ რომ წმ. თამარის სურათი ეკლესიებს არ ამშვენებს, რო ვამკრავს ქართული სული ივერიის ეკლესიაში, განა საბუთს არ იძლევა ითხოვის ქართველმა სამღვდლოებას, რათა მას ნება დართონ მიიღოს საეპარქიო სამღვდლოების წარმომადგენელი კრებისა, რომელსაც განხილული იქნება ყველა ის საკითხები, რაც რომ ივერიის ეკლესიის ეროვნულ სულს და ფერს მისცემს?

**სამღვდლოების წარმომადგენელთა კრების მოწვევა**

დღეს მთელს საქართველოში დასრულდა უნდა იქნეს დადგენილი. იმედია, ერთიანად სასულიერო პირი კიდევ მოიპოვება, რომელსაც არ უღალატნია თავის პრინციპებისათვის და ყოველად უსამღვდლოება ეჭარბოს პლატონის წინაშე ქართველთა სამღვდლოების კრების მოწვევის შესახებ საკითხს აღძრავს.

**ნ. კაპანაძე.**

**პეპასიონი საგზაგაო-სამედიკალური. ბანანის საქავერი**  
კავკასიის საგზაგაო-სამედიკალური ბანკის აქციების 40%-ის მიღებაზე დასასრულებლად და სხვა და სხვა საორგანიზაციო კითხვების გადაწყვეტაში ადგილობრივი მონაწილეობის მისაღებად 10 მაისისათვის 1916 წ. პეტროგრადიდან მოდის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ცნობილი კომერსანტი, პრეზიდენტი იაკობ ალექსანდრეს ძე მანვეტაშვილი, რომელიც დაჰყოფს თბილისში სანამ ბანკის გახსნისათვის საჭირო საქმეები დასრულებით არ მოგვარდება.

გოს ქუთაისის რაიონის წარმომადგენლებს შესაფერი განმარტებით. მთავარ საორგანიზაციო კომიტეტის დადგინებით, 21 ამ თვეს, საორგანიზაციო კომიტეტის პოლიტკრეს, მემიტი კომიტეტის ბუღალტერს, მივერს სპეციალურ საჭიროებებზე მივერს ბაქოს, სადაც ამ საქმეებს მიიღებენ მ.ბ. იოსებ დადიანი, ნიკოლოზ ჯაველი და ლევან მამულიაშვილი.

მთავარ საორგანიზაციო კომიტეტს აქვს პატივი აცნობოს იმ პირთ, რომლებსაც დაკვეთილი აქვთ მომავალი ბანკის აქციები, რომ ყოველს მათს სიტყვიერ და წერილობითი საჭირო შევითხვე ბანკის საქმეების საერთო მდგომარეობის შესახებ, ისინი მიიღებენ ამიერიდან დაუყოვნებლივ პასუხს. შევითხვები უნდა გამოგზავნოს შემდეგი მისამართით: თბილისი, სასახლის ქუჩა, საორგანიზაციოს სახლი № 6, სამეურნეო ბანკის სადგომი.

**ნარილი ბათიმიდან**

ბათიში არსებობს ერთი ჯგუფი სტენის მოყვარეებისა, 16 კაცისაგან შემდგარი, რომელსაც სათავეში უდგას ბ-ნი კოხჩავა. ავტოკრემდემ თვევარაც ეს ჯგუფი სისტემატურად მართავს სახალხო წარმოდგენებსა და ისეთის ენერგიით და ხალისით ეკიდება საქმეს, რომ საზოგადოების ყურადღებასთან ერთად თანაგრძნობაც დიდი დაიმსახურო. მათმა მხენ და დაუღალავ მუშაობამ საზოგადოება აღაპარაკა და სერიოზულად ჩააფიქრა იმ საკითხზე, თუ როგორ მოეწყობა ზამთრის სეზონი. ეს საკითხი იმდენად მოწოდებულია და საყურადღებო, რომ მისი უარყოფა, თუ გინდა ასეთ საშინელ ომიანობის დროს—დიდი დანაშაულობად უნდა ჩათვალოს. ამ უამად ბათიში მოღვაწეობს რუსული დასი, მუშაობს ორი ილიუზონი, მაგრამ მიუხედავად ასეთი ძლიერი კონკურენტებისა—მდამობი ხალხს ძლიერ ბლომად ესწრება ქართულ წარმოდგენებსა და თითქმის სულიერი მოთხოვნებიდანაც ვადექცა. საქმეს ხელს უშლის მხოლოდ თეატრის წინიბის უქონლობა, რის გამო სტენის მოყვარენი დროებით მუშაობენ საკრებულ დარბაზში, მაგრამ ამ მოკლე ხანში თავდება ახალი თეატრის შენობა შეიქმნის, და ქართულ დრამატული საზოგადოების გამგებმა დროზე რომ გამოეკრძალებოდეს სტენის მოყვარეებს და მათთან ერთად დანიკრავებდნენ შენობას, შეავსებდნენ სტენის მოყვარეთა ჯგუფს ათი, თორემეტი დახელოვნებულ არტისტებითა—საქმე შეუძლებლად სასურველ მსაფულოებას მიიღებდა და სულიერი მოთხოვნების ქართულ საზოგადოებისას სრულიად დაეკარგებებდა. ამ უამად, საქმის გასაუმჯობესებლად, წრემ რეჟისორად მოიწვია ქუთაისის დასის გამოცდილი მსახიობი ვანო ბარველი და ცოლი მისი ა. კავთელი.

ბ. ბარველიც გულმოდგინეთ შეუდგა საქმეს და სულ მოკლე ხანში შესამჩნევი ცვლილება და გაუმჯობესება შეიტანა საქმეში. მის ხელმძღვანელობით იღებება ისეთი პიესები, როგორიც არის მაგალითად „დღენი ჩვენს ცხოვრებაში“, „პატარა კახი“ და სხვა... დრო გამოშვებით იწვევენ გასტროლიორებისც, ვერც მაგალითად მოწვეულნი იყვნენ იშხნელი, მურუსიძე და სხვანი, ტანისმამოები კი მოსდით ქუთაისიდან. სამუშაოს 12 აპრილს ითამაშეს ბარველის მიერ გადმოკეთებული ისტორიული კომედია „გამარჯვებულნი“; პიესა შინაარსშია, ვეფცხანია, მაგრამ სტენის მოყვარებისათვის—მწელი; პიესამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა და ხალხი დიდად ნასიამოვნები დარჩა.

**გეოგრაფიული პოლუნათუი**

„ბ. გ.“-ში კ. შუმსკის მოპყავს ცნობები ერთ ამერიკულ სამეცნიერო ჟურნალში მოთავსებული, სადაც აღწერილია გერმანიელის საქმიანობა პოლონეთში. ცნობები ეხება პოლონეთის ნაწილს, რომელიც გერმანელებს უპყრიათ 1914 წ. გიორგობისთვიდან, ესე იგი ვისლის ვალა მზრის პოლონეთი, რომელიც ჩრდილოეთით საზღვრავს აღმოსავლეთი პრუსია, აღმოსავლეთით მე. ვისლა, სამხრეთით ვალიცია, დასავლეთით სილეზია და პონზანი. ამ კუთხეში მათ გაუყვანიათ და შეუქმნიათ 8800 ვერსის მანძილზე რკინის გზა. მეტ წილად გერმანელებს გაუყვანიათ მოკლე მანძილიანი ლიანდაგები საომარ ასპარეზისათვის. უფ-

რო დიდი ლიანდაგი გაუყვანიათ მე-მელ-ლიბავას შუა. ეს ლიანდაგები გერმანელებს მომეტებულ ნაწილად ბრძოლის ხაზის ზურგით ჰქონდათ შექმნილი, რათა საქართველოს დროს ვაჭრის სწრაფი გადაყვან-გადაყვანა შესძლებოდათ. დღეს გერმანელები ამ მხრივ უარეს პირობებში არიან, რადგანაც ბრძოლის ეხლანდელი მიდამოები ნაკლებ არის რკინის გზის ლიანდაგით დაქსეული.

გერმანელებს პოლონეთში 104 დიდი საკინისგზო ხიდი აუფიდა, უმთავრესად მე. ვისლაზე. გერმანელებს იმის დაწყებაზე და მანამდე ჰქონდათ დიდი დანაშაული ხიდები. ამას უნდა მიეწეროს, რომ ვისლაზე, ვარშავაში, ხიდის განახლებას მხოლოდ ერთი თვე მიანდომეს. პოლონეთში 14 მთავარი რკინის გზის ლიანდაგი აქვს გაყვანილი, რომელზედაც დიდი სამხედრო მატარებლები თავისუფლად მიიღობენ. ეს გზები სულ მოკლე ხანში დააგეს, რადგანაც ყოველთვის მასალა ადრევე დამზადებული ჰქონდათ. ყველაზე მწიფე გვიარბის გაკეთება გასულთაა. მათ პოლონეთში რვა გვიარბი შეაკეთეს. ერთ ადგილას 10-15 საკინის მანძილზე აფეთქებულ გვიარბის გასუფთავებას თვე-ნახევარი მიანდომეს.

ამ რკინის გზებზე გერმანელებს გაუმართავთ 10 საკინისგზო დეპო, 70 სახლოსნო, 5 ვაზის სამრეწველო, 75 სადამინსტრაციო სადგური, 35 ელექტრონის სადგური, 1200 საკინისგზო სადგური (ბ. ვ.).

**შეამოწიკა**

ძველ-გავახის მოსწავლე პატარა გულუბნაც მიიღეს მონაწილეობა თავის მოძმე აქარლების უბედურებაში და ერთმანეთს შორის შეავარდეს იმით სასარგებლო ერთი თუმანი. გიგზავნიან რა ამ ფულს, გიგზავნენ ამ პატარა დახმარებასთან ერთად ვადსკეთ ამათი გულწრფელი სალამი.

**ვანო კუფიანი.**

რედაქტორ-გამომცემელი  
**სანდრო შანშიაშვილი**

**ბანათელები**

ბანათელები უნდა გამოგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлис почт. ян. № 96, Силье-стру Р. Таварткиладзе.

ბანათელები უნდა გამოგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлис почт. ян. № 96, Силье-стру Р. Таварткиладзе.

**საქართველოს საზოგადოების განმთავლი ინტერესი მოითხოვს: მოითხოვს და სხვა პროვოკაციის მიხედვით**

**ლალიის** ხნის საუბათისმოსილი მანდელი ნამდვილი სამედიკალური წყალი და გუბრთხობდეს, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობა უზმირებელია და ხშირად შეცდომას შეყავს, მხმარებელი საზოგადოება, თაიანთი დაბლო ნაწარმოების შალხმ ცტიკეტების მიმსვასებით ნამდვილი ლალიის წყლის ტიკეტის ნიშანი შედგეია

**საქართველოს საზოგადოების განმთავლი ინტერესი მოითხოვს: მოითხოვს და სხვა პროვოკაციის მიხედვით**

**ლალიის** ხნის საუბათისმოსილი მანდელი ნამდვილი სამედიკალური წყალი და გუბრთხობდეს, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობა უზმირებელია და ხშირად შეცდომას შეყავს, მხმარებელი საზოგადოება, თაიანთი დაბლო ნაწარმოების შალხმ ცტიკეტების მიმსვასებით ნამდვილი ლალიის წყლის ტიკეტის ნიშანი შედგეია

**საქართველოს საზოგადოების განმთავლი ინტერესი მოითხოვს: მოითხოვს და სხვა პროვოკაციის მიხედვით**

**ლალიის** ხნის საუბათისმოსილი მანდელი ნამდვილი სამედიკალური წყალი და გუბრთხობდეს, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობა უზმირებელია და ხშირად შეცდომას შეყავს, მხმარებელი საზოგადოება, თაიანთი დაბლო ნაწარმოების შალხმ ცტიკეტების მიმსვასებით ნამდვილი ლალიის წყლის ტიკეტის ნიშანი შედგეია

**საქართველოს საზოგადოების განმთავლი ინტერესი მოითხოვს: მოითხოვს და სხვა პროვოკაციის მიხედვით**

**ლალიის** ხნის საუბათისმოსილი მანდელი ნამდვილი სამედიკალური წყალი და გუბრთხობდეს, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობა უზმირებელია და ხშირად შეცდომას შეყავს, მხმარებელი საზოგადოება, თაიანთი დაბლო ნაწარმოების შალხმ ცტიკეტების მიმსვასებით ნამდვილი ლალიის წყლის ტიკეტის ნიშანი შედგეია

**საქართველოს საზოგადოების განმთავლი ინტერესი მოითხოვს: მოითხოვს და სხვა პროვოკაციის მიხედვით**

**ლალიის** ხნის საუბათისმოსილი მანდელი ნამდვილი სამედიკალური წყალი და გუბრთხობდეს, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობა უზმირებელია და ხშირად შეცდომას შეყავს, მხმარებელი საზოგადოება, თაიანთი დაბლო ნაწარმოების შალხმ ცტიკეტების მიმსვასებით ნამდვილი ლალიის წყლის ტიკეტის ნიშანი შედგეია

**საქართველოს საზოგადოების განმთავლი ინტერესი მოითხოვს: მოითხოვს და სხვა პროვოკაციის მიხედვით**

**ლალიის** ხნის საუბათისმოსილი მანდელი ნამდვილი სამედიკალური წყალი და გუბრთხობდეს, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობა უზმირებელია და ხშირად შეცდომას შეყავს, მხმარებელი საზოგადოება, თაიანთი დაბლო ნაწარმოების შალხმ ცტიკეტების მიმსვასებით ნამდვილი ლალიის წყლის ტიკეტის ნიშანი შედგეია

**საქართველოს საზოგადოების განმთავლი ინტერესი მოითხოვს: მოითხოვს და სხვა პროვოკაციის მიხედვით**

**ლალიის** ხნის საუბათისმოსილი მანდელი ნამდვილი სამედიკალური წყალი და გუბრთხობდეს, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობა უზმირებელია და ხშირად შეცდომას შეყავს, მხმარებელი საზოგადოება, თაიანთი დაბლო ნაწარმოების შალხმ ცტიკეტების მიმსვასებით ნამდვილი ლალიის წყლის ტიკეტის ნიშანი შედგეია

**საქართველოს საზოგადოების განმთავლი ინტერესი მოითხოვს: მოითხოვს და სხვა პროვოკაციის მიხედვით**

**ლალიის** ხნის საუბათისმოსილი მანდელი ნამდვილი სამედიკალური წყალი და გუბრთხობდეს, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობა უზმირებელია და ხშირად შეცდომას შეყავს, მხმარებელი საზოგადოება, თაიანთი დაბლო ნაწარმოების შალხმ ცტიკეტების მიმსვასებით ნამდვილი ლალიის წყლის ტიკეტის ნიშანი შედგეია

**საქართველოს საზოგადოების განმთავლი ინტერესი მოითხოვს: მოითხოვს და სხვა პროვოკაციის მიხედვით**

**ლალიის** ხნის საუბათისმოსილი მანდელი ნამდვილი სამედიკალური წყალი და გუბრთხობდეს, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობა უზმირებელია და ხშირად შეცდომას შეყავს, მხმარებელი საზოგადოება, თაიანთი დაბლო ნაწარმოების შალხმ ცტიკეტების მიმსვასებით ნამდვილი ლალიის წყლის ტიკეტის ნიშანი შედგეია

**საქართველოს საზოგადოების განმთავლი ინტერესი მოითხოვს: მოითხოვს და სხვა პროვოკაციის მიხედვით**

**ლალიის** ხნის საუბათისმოსილი მანდელი ნამდვილი სამედიკალური წყალი და გუბრთხობდეს, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობა უზმირებელია და ხშირად შეცდომას შეყავს, მხმარებელი საზოგადოება, თაიანთი დაბლო ნაწარმოების შალხმ ცტიკეტების მიმსვასებით ნამდვილი ლალიის წყლის ტიკეტის ნიშანი შედგეია

**საქართველოს საზოგადოების განმთავლი ინტერესი მოითხოვს: მოითხოვს და სხვა პროვოკაციის მიხედვით**

**ლალიის** ხნის საუბათისმოსილი მანდელი ნამდვილი სამედიკალური წყალი და გუბრთხობდეს, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობა უზმირებელია და ხშირად შეცდომას შეყავს, მხმარებელი საზოგადოება, თაიანთი დაბლო ნაწარმოების შალხმ ცტიკ